ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის
საქმეთა, სპორტის და საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის გაერთიანებული სხდომის

ო ქ მ ი N16/20

26.09.2023
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების N16/20-ს გაერთიანებული სხდომას თავმჯდომარეობდნენ კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე.

ესწრებოდნენ :

საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის კომისიის წევრები: თეა ჯუღელი, ჯემალ ბიბილეიშვილი, მანანა ჩიხლაძე, მარეხი ნიჟარაძე, მიხეილ გიორგაძე, ბესიკ ხამაშურიძე.

სულ : 12 წევრიდან-6 წევრი.

არ ესწრებოდა: კახაბერ გაბუნია, ხათუნა არველაძე, თედო მესხი, ქეთევან ხურციძე, ანა კოხრეიძე, ნინო ჩიკვაშვილი

სულ: 6 წევრი

ესწრებოდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე.

კომისიის წევრები:

ირაკლი შენგელია, გია ბასილაძე, პაატა ლილუაშვილი, ამირან კოპალეიშვილი, ზაქრო მამასახლისი,მარეხი ნიჟარაძე,მაია სიმონიძე,ელეონორა არჩაია, გიორგი კილაძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე .

სულ: 16 წევრიდან-12 წევრი.

არ ესწრებოდნენ:

მერაბ ჭოხონელიძე, დავით ბახტაძე, კობა გურული, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 4 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ააიპ "ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის" დირექტორი, **ბატონი გია ქობალიანი.** ა(ა)იპ ,,ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის" ხელმძღვანელი, **ქალბატონი მაია ნადარეიშვილი.** შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის" ხელმძღვანელი **ქალბატონი ნინო ჩალაძე.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის **მრჩეველი ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ: ,, მოგესალმებით მეგობრებო, როგორც მოგეხსენებათ დღეს ჩვენ გვაქვს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა. განსახილველი საკითხების მიმართ საერთო ინტერესიდან გამომდინარე ჩვენი მხრიდან, მიღებული იქნა გადაწყვეტილება კომისიის სხდომა ჩაგვეტარებინა მსგავსი ფორმატით".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტოკომისიების გაერთიანებული N16/20-ს სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ი.ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე , გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

ბატონი გ.ქობალიანი

ა(ა)იპ ,,ილია ჭავჭავაძის სახელობის
საჯარო ბიბლიოთეკის" დირექტორი

2. ა(ა)იპ ,,ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის" მიერ 2023 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

ქალბატონი მ.ნადარეიშვილი

ა(ა)იპ ,,ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა
და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის
ცენტრის" ხელმძღვანელი

3. შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ მიერ 2023 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

ქალბატონი ნ.ჩალაძე
შპს ,,ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“
ხელმძღვანელი

4. მიმდინარე და სხვა საკითხები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონი ბაქარ მახარაძემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტისა და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული N16/20-სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭის ყრით ერთხმად, დაადგინეს.

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“ 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულებისა და გაწეული სამუშაოს ანგარიშის თაობაზე.

(ანგარიში ოქმს თან ერთ ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე: ,,როგორც თქვენთვის ცნობილია კომისიის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმა-გრაფიკის შესაბამისად უნდა განვიხილოთ საჯარო ბიბლიოთეკის მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიში. მისი ხელმძღვანელი, ბატონი გია ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს და დიდ მხარდაჭერას გამოხატავს ქალაქის მიმართ. ბატონო გია, გთხოვთ უფრო დეტალურად წარმოგვიდგინოთ ინფორმაცია თქვენი საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ააიპ "ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის" ხელმძღვანელი, ბატონი გია ქობალიანი: მოგახსენებთ ჩვენს უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული

საქმიანობის შესახებ მოკლე მიმოხილვას. კერძოდ: 2023 წლის 01 იანვრისთვის საბიბლიოთეკო დოკუმენტაციისა რაოდენობა შეადგენდა -1 064 702 წიგნს , ჟურნალ-გაზეთს, ელექტრონულ წიგნს და GD-ხმოვან წიგნს. საანგარიშო პერიოდში შემოვიდა 371 წიგნი და ჟურნალი-აქედან 328 ცალი წიგნი და 43 ჟურნალი. ელექტრონულ კატალოგში ატვირთულია 16212 ეგზემპლარი. ციფრულ ფოტომატეანეში აიტვირთა 821 ცალი ფოტო, ბარათი, მოსაწვევი, პოსტერი და ა.შ.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა 2015წლის ივლისიდან ჩაერთო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ჟეოსელის ერთობლივ პროექტში ,,ციფრული ფოტომატეანე". პროექტის მიზანია, გააცოცხლოს იმერეთის რეგიონისა და ჩვენი ქალაქის ისტორია, აღმოაჩინოს და შეაგროვოს სხვადასხვა ოჯახში დაცული, საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ფოტო კოლექციების ციფრული ვერსიები. პროექტის დაწყებიდან, 2023 წლის 01 ივლისისთვის გაციფრებულია 8437 ცალი ფოტო, ბარათი, მოსაწვევი, პოსტერი და ა.შ, რომლებიც ატვირთულია ციფრულ ბიბლიოთეკა ,,ივერიელში".გაციფრდა იშვიათ გამოცემათა განყოფილების 59 ცალი წიგნის 19019 გვერდი და 50 ცალი გაზეთის 200 გვერდი. მზა წიგნები და გაზეთები განთავსდა 7 DVD დისკებზე. რესტავრაცია ჩაუტარდა, აიკინძა და ყდაში ჩაისვა 116 ცალი-წიგნი და გაზეთის 24 კომპლექტი. პერიოდიკის განყოფილებიდან, რესტავრირდა პერიოდული გამოცემის 192 ფურცელი.გარდა ამისა საკუთარი ძალებით გამოვცემთ ჟურნალს ,,თეთრი ხიდი", რომელშიც რუბრიკების სახით აღვადგინეთ ძველი ქართული სახელწოდებები.გავაღრმავეთ ურთიერთობები თურქეთში ჩვენს ყოფილ თანამემამულეებთან. ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით გვაქვს ამერიკული კუთხე.

აქვე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო პრობლემურ საკითხებზეც, რომელთა მოგვარებაშიც ველით თქვენს აქტიურ მხარდაჭერას, სამწუხაროდ, ისევ დგას ა(ა)იპ ,,ი. ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკის"რემონტის საჭიროების საკითხი, ხოლო მუხნარის ტერიტორიულ ერთეულში საერთოდ არ გვაქვს ფილიალი, კარგი იქნებოდა რაიმე ფართის გამონახვა ამისთვის. მინდა მოგახსენოთ ჩვენი ინიციატივის შესახებ, ტრადიციად შემოვიღოთ ორმაისობის დღეებში აკაკი წერეთლის საფლავის ქუთაისური ვარდებით შემკობა.კარგი იქნება, თუ მოხერხდება აღნიშნული პატივგების ღონისძიებას დამატება ორმაისობის სადღესასწაულო კვირეულის პროგრამაში, რითაც აკაკის გარდაცვალების შემდეგ დადებულ ამ პირობასაც აღვასრულებთ".

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „აკაკის საფლავის პატივგების

საკითხი თქვენ ალბათ ქალაქის ხელმძღვანელობასთან უნდა შეათანხმოთ, ხოლო რაც შეეხება ჩვენს მხარდაჭერას არ ვიქნებით წინააღმდეგი".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრი ირაკლი შენგელია: „ბიბლიოთეკის ღონისძიებებს ვადევნებ თვალყურს და მინდა გავიხსენო ის ფაქტი, რომ 2018 წელს, როდესაც მე მაჟორიტარი ვიყავი, მივიღეთ გადაწყვეტილება ბიბლიოთეკაში ნატოსა და ევროკავშირის სივრცის და ახალგაზრდული კუთხის გაკეთების შესახებ. გამოიძებნა შესაბამისი ფისკალური რესურსი. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია და თანხაც უკანვე დაბრუნდა. დღემდე ეს საკითხი მოუგვარებელია. აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში, დიდია მოსახლეობის და თვითონ კოლექტივის მოლოდინი. რა მდგომარეობაა ამჟამად, რატომ ვერ მოხერხდა ტენდერის გამოცხადება?"

ა(ა)იპ „ილია ჭავავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ბატონი გია ქობალიანი: „გაკეთდა პროექტები N8 და N18 ფილიალებისათვის, ასევე სინაურის ფილიალის სველი წერტილის მოსაწყობად, 70 ათასი ლარის ფარგლებში. პროექტი გაკეთდა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ. გვითხრეს, რომ სექტემბერში გამოცხადდებოდა ტენდერი".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბაქარ მახარაძე: „მინდა აღვნიშნო, რომ რემონტებისათვის 146 ათასი ლარია ჩადებული, საიდანაც ძალზე მცირეა ათვისება".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი ირაკლი შენგელია: „მეც ეგ აღვნიშნე. ამდენი თანხა თქვენ მანამდე არ გქონიათ გამოყოფილი. ყველაფერს კარგად უნდა დათვლა. ხარჯთაღრიცხვა ვინ გააკეთა?"

ა(ა)იპ „ილია ჭავავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ბატონი გია ქობალიანი: „როგორც მოგახსენეთ, ხარჯთაღრიცხვა მერიის შესაბამისს სამსახურში გაკეთდა".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს საკითხიც გამოვა საკრებულოზე, გაგეზრდებათ არაფინანსური აქტივები და თქვენ იქნებით პასუხისმგებელი შესრულებაზე. უმჯობესი იქნება დავხარჯოთ ფული პროექტირებაში და უკვე ყველაფერი გვეცოდინება. ჩამოაყალიბეთ, მე-12 ფილიალში რა სივრცე უნდა მივიღოთ. ეს პრობლემები არ იქნებოდა, ამ გზით რომ წავსულიყავით. მე პირობას გაძლევთ, გვერდით დაგიდგებით".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „სავარაუდოდ, კომუნალურებთან კავშირშიც მოგიწევთ ბიუჯეტის ცვლილება. გასულ წელს ამისათვის გამოიყო 37

ათასი ლარი, წელს შეამცირეთ და ახლა უკვე 90% გაქვთ გამოყენებული. ამასთან, ოფისის ხარჯებში მხოლოდ 36% გაქვთ ათვისებული“.

ა(ა)იპ ,,ილია ჭავავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ბატონი გია ქობალიანი: „კომუნალურები ძირითადად ტარიფის ცვლილებამ გამოიწვია.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი გიორგი კილაძე: „მისასალმებელია, რომ გაციფრულებას ახორციელებთ, მაგრამ ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ აუდიო მასალების მომზადებაზე, რომლებიც შემდგომში კომერციული მიზნებისთვის იქნება გამოყენებული?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „თუ გაქვთ გააზრებული, რაც ბატონმა გიორგიმ ბრძანა, თუ გაქვთ დათვლილი, რა ხარჯთან გვაქვს საქმე“.

ა(ა)იპ ,,ილია ჭავავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ბატონი გია ქობალიანი: „თავდაპირველი ხარჯი ამ მასალების დასამზადებლად დიდი იქნება. მსახიობები დასაქირავებელი და ა.შ. ჩვენ ამჟამად დომენიც და სერვერიც კი არ გაგვაჩნია“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე : „უნდა დავსხდეთ და ვისაუბროთ დაინტერესების, პოპულარიზაციის საკითხზე. სასურველია ყველაფერი დავთვალოთ და ისე ვიმსჯელოთ. ჩვენ მოგწერთ კომისიის რეკომენდაციას თქვენს საკითხებთან დაკავშირებით. თუ სხვა შეკითხვები არ გვაქვს, კენჭი ვუყაროთ საკითხს ააიპ "ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის" მიერ 2023 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ“.

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიების წევრებმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ი.ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე , გაწეული სამუშაოს ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მე-2 საკითხი- ა(ა)იპ ,,ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ ხელმძღვანელის ქალბატონ **მაია ნადარეიშვილის** ანგარიში 2023 წლის რვა თვეში

გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“.

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა(ა)იპ „ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი მაია ნადარეიშვილი: „ჩემს მიერ წარმოდგენილია ანგარიში 2023 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“. ამ პერიოდში გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის ფარგლებში განსაზღვრულ მოთხოვნათა საფუძველზე ჩვენს ცენტრში ქალაქის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებიდან სასწრაფო (ფ 58/1) და ყოველთვიური (ფ 58/3) შეტყობინების საფუძველზე დაფიქსირდა ნოზოკომიური პნევმონიის 97, ნოზოკომიური ბაქტერიემიის 38, საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექციის 56, ქირურგიული ჩარევის მიდამოს ნოზოკომიური ინფექციის 8, 15-49 წლის ქალთა გარდაცვალების 13, ბრუცელოზის 20,ბაქტერიული მენინგიტის 5, ვირუსული მენინგიტი 1, ტეტანუსის 1, ლეიშმანიოზის 2, ბრუცელოზი 20,ბორელიოზის 18, ლეპტოსპიროზის 63, ქრ.ვირუსული ჰეპატიტი B 59, ქრ.ვირუსული ჰეპატიტი C 250, ყივანახველას 3, ჩუტყვავილას 445, ქუნთრუშას 71, წითელას 2, სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვის 255, სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის 1151 შემთხვევა. 2023 წლის რვა თვეში ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირდა კოვიდინფექციის 1600 შემთხვევა. სეზონური გრიპის შემთხვევათა მკურნალობისა და გრიპის გავრცელების მართვისათვის საჭირო ანტივირუსული პრეპარატი „ტამიფლუ“ 8 თვის განმავლობაში გაიცა 463 კაფსულის ოდენობით. კვლევა ჩაუტარდა 1936 ორსულს და კვლევის შედეგად გამოვლინდა 30 „ბ“ ჰეპატიტის, 13 „ც“ ჰეპატიტისა და 6 სიფილისის ინფიცირების შემთხვევები, რომლებსაც ჩაუტარდათ შემდგომი კონფირმაციული კვლევა. სისტემატურად მიმდინარეობდა ქ.ქუთაისის ვეტ. სამსახურისათვის ინფორმაციის გადაცემა ცხოველებზე მეთვალყურეობის დაწესების თაობაზე. 2023 წლის რვა თვეში ანტირაბიული კაბინეტების მიერ მომსახურება გაეწია 3943 პაციენტს: 15 წლამდე - 1477 ცხოველის მიერ დაზარალებულია 3100, უპატრონო ცხოველის მიერ 1544, მათ შორის ქუთაისის 2073, აქედან პატრონიანი 1163 და უპატრონო 910. 2023 წლის მარტში ჩატარებულ იქნა წყალსატევების აღრიცხვა-პასპორტიზაცია. ქალაქში ჩვენს მიერ პირობითად დაყოფილი სამ ტერიტორიულ ერთეულში (ავტოქარხნის დასახლება, გუმათის დასახლება, ქალაქის დანარჩენი ნაწილი) აღწერილ იქნა 43 ღია ტიპის, გარემოში არსებული წყალსატევი 8,8 ჰა საერთო ფართობით. ქ.ქუთაისის 16 სამედიცინო დაწესებულებზე გაიცა 2023 წლის რვა თვეში 8741 ცალი C ჰეპატიტის ტესტი სახარჯ მასალასთან ერთად.გამოკვლეულ იქნა ამდენივე ამბულატორიული პაციენტი. აქედან C ჰეპატიტზე სწრაფი ტესტით დადებითი აღმოჩნდა 92 პიროვნება. რაც

შეეხება აივ/ ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის მუნიციპალურ პროგრამას (რომელშიც მონაწილეობს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის 19 ოჯახის ექიმი),მის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა 11775 პიროვნება. აქედან HCV-ზე დადებითი იყო 77 HIV-ზე3, TB-ზე 0. 2023 წლის რვა თვის განმავლობაში აივ/ინეფქცია შიდსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სწრაფი მარტივი ტესტით სკრინინგის გამოკვლეულ იქნა 5314 ჰოსპიტალიზირებული პაციენტი.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „განვლილი პერიოდის მიხედვით საწვავის ხარჯში გაქვთ მეტობა. ასევე მინდა გკითხოთ სამედიცინო ხარჯების შესახებ, რომელმაც 15562 ლარი შეადგინა“.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი მაია ნადარეიშვილი: „დიახ, მართალია აქტივობები კოვიდინფექციასთან დაკავშირებით შემდეგ შეგვიმცირდა, მაგრამ მეორე ავტომობილი გადმოგვეცა და რეგულარული მოძრაობა მაინც გვიწევს. რაც შეეხება სამედიცინო ხარჯებს, საწვავის ხარჯთან ერთად წლიური ასიგნება საკმარისი იქნება“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი,ბატონი ირაკლი შენგელია: „ინფექციათა კონტროლი გამკაცრდა. თქვენი სამსახური რამდენადაა ჩართული ამ საქმეში?“

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი მაია ნადარეიშვილი: „ჩვენ არ ვართ ჩართული ამ საკითხში, მხოლოდ სათანადო ინფორმაცია გროვდება. ძირითადად ამას სააგენტო არეგულირებს“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი,ბატონი ირაკლი შენგელია: „ალბათ მოგეხსენებათ, რომ მუშავდება უსაფრთხო სისხლის პროგრამა. იცვლება მიდგომა დონორის მიმართ. როგორია თქვენი მიდგომა ამ საკითხის მიმართ?“

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი მაია : „ეს საკითხი არ შედის ჩვენს კომპეტენციაში და სამწუხაროდ არ ვფლობ ინფორმაციას. მხოლოდ აღრიცხვის კუთხით გვაქვს ინფორმაცია, სხვა ბერკეტი ჩვენ არ გაგვაჩნია“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „თქვენ როცა ჩანიშვნას აკეთებთ და აფიქსირებთ ფაქტს, ეს უკვე ბერკეტია“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი გიორგი კილაძე „მართალია ჯერ შეუძლებელია ღრმად შეხვიდეთ ამ საკითხებში, მაგრამ დეცენტრალიზაციის გაღრმავების შემთხვევაში თქვენი კომპეტენცია გაძლიერდება“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „თუ სხვა შეკითხვები არ გვაქვს, კენჭი ვუყაროთ საკითხს ა(ა)იპ ,,ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ.

დაადგინეს: ა(ა)იპ ,,ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ მიერ 2023 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მე-3 საკითხი:შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელის, ქალბატონ ნინო ჩალაძის ანგარიში პოლიკლინიკის 2023 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“.

ზემოაღნიშნულ საკითხზე ანგარიში წარადგინა შპს ,,ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელის, ქალბატონმა ნინო ჩალაძემ.

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი ნინო ჩალაძე: „პოლიკლინიკის ფინანსური ანგარიში გადმოგიგზავნეთ და მზად ვარ გიპასუხოთ შეკითხვებზე“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „შარშანდელი განხილვის შემდეგ ჩვენ მივმართეთ ქალაქის ხელმძღვანელობას მოგების თანხის რეინვესტირების მიზანშეწონილობის შესახებ. ამ მხრივ თუ არის რაიმე ცვლილება?“

შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი ნინო ჩალაძე: ჩვენ შევიძინეთ მნიშვნელოვანი აპარატურა, მათ შორის სუნთქვის პრობლემების აპარატი, რომელიც ძალიან გვჭირდებოდა. დავამატეთ გინეკოლოგიური კაბინეტი ავანგარდის ფილიალში“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრი, ქალბატონი ელეონორა არჩაია: „შშმ პირებისათვის თუ გაკეთდა რაიმე?“

შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი ნინო ჩალაძე: „დიახ, ნიკეას ფილიალში დავამატეთ სივრცე შშმ პირების მომსახურებისთვის. ამჯამად დაწყებული გვაქვს მზადება საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად (ISO 9001-2015 სტანდარტი), რომელიც 2025 წლისთვის უნდა მივიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიკლინიკას შეუწყდება საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „სასურველი იქნება წინასწარ ვიცოდეთ თქვენი პრობლემები ამასთან დაკავშირებით, რომ საჭირო მხარდაჭერა განვახორციელოთ“.

შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი ნინო ჩალაძე: შპს ,,ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა“ გამოთქვამს მზაობას, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად მიიღოს მონაწილეობა შენობის რეაბილიტაციაში და საკუთარი სახსრებით გაარემონტოს მეორე სართული“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი გიორგი კილაძე :„მესამე სართულზე მართლაც რთული მდგომარეობაა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „კარგია, რომ გათვლები ჩაატარეთ და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივდივართ. იმატებს ბენეფიციართა რაოდენობა. მადლობა ამ შრომისათვის. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია განიხილავს თქვენს მიერ წარმოდგენილ წინადადებებს. კარგი იქნება ცალკეულ დეტალებს თუ შეათანხმებთ აღმასრულებელთან. ჩვენგან მხარდაჭერა იქნება. თუ სხვა შეკითხვები არ გვაქვს, კენჭი ვუყაროთ საკითხს შპს ,,ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ“.

დაადგინეს: შპს ,,ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკის“ მიერ 2023 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად“.

ამით კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გაერთიანებული სხდომა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების,ახალგაზრდობის
საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე - ზექა ქებულაძე

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ზაქარ მახარაძე